პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

სამშაბათი, 31 მაისი, 1949 წ. № 107 (8410). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მებრძოლი ბოლშევიკური პროპაგანდისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

ვ. ტოგონიძე — მეცხოველეობის სწრაფი განვითარება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა (მე-2 გვერდი).

ხვნა-თესვის საუკეთესო ვადებს — ხელიდან არ უშვებენ (მე-4 გვერდი).

საბერძნეთის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას და უნდა გადაიჭრას—„პრავდის“ მოწინავე (მე-3 გვერდი).

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობის მისალმება ი. ბ. სტალინისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

მებრძოლი ბოლშევიკური პროპაგანდისათვის

ბოლშევიკური პროპაგანდა მუდამ განირჩეოდა თავისი საბრძოლო ხასიათით, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით. მისი ეს თვისება სავსებით შეეფერება პარტიის შემოქმედებითს დამოკიდებულებას რევოლუციური თეორიისადმი, რომელიც ბოლშევიკებისათვის დოგმა კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა.

ლენინი და სტალინი იმთავითვე, როცა საძირკველს უყრიდნენ ჩვენს პარტიას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მებრძოლი იდეური პროპაგანდის. სოციალიზმის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან, რომელსაც ჩვენი პარტია წარმატებით ეწეოდა თავის ჩასახვის დღიდანვე, ის კი არ ჭირდა მიზნად, რომ მუშებს პრაქტიკისაგან დამოუკიდებელი ცოდნა მიეღოთ, რომ მათგან კაბინეტური ხასიათის განსწავლული ადამიანები მიგველო, არამედ მისი მიზანი იყო პატიჟური რევოლუციური მოძრაობის გადაქცევა შეგნებულ პროლეტარულ მოძრაობად, პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც ამოცანად დაისახავდა ცარიზმისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობას და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. ცნობილია, რომ ბერძენაში — მენშევიკები, მუშებს მხოლოდ „თვითგანათლებისაკენ“, პრაქტიკული ბრძოლის ამცილებლისაგან დაშორებისკენ ეწოდნენ. — რას გასწავლიან თქვენ საკირაო სკოლაში? — შეეკითხა ამხანაგი სტალინი 1901 წელს ბათუმის ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული წრის მოწინავე მუშას, რომელსაც შენიშვნა მისცა: „თვითგანათლება“ გამოეცადა.—ეჰ, გვასწავლიან როგორ მოძრაობს მზე...—უპასუხა მუშამ. — გაიგონე,—იიმილით უთხრა მუშას ამხანაგმა სტალინმა—მზე თავის გზას არ აცდება. აი, შენ ისწავლე, როგორ უნდა მოძრაობდეს რევოლუციური საქმე.

აქედან ცხადია, რომ თეორიული წვრთნა უმჭიდროესი კავშირი უნდა ჰქონდეს პარტიულ ცხოვრებასთან, იმ ამოცანებთან, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება ჩვენს ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე აყენებენ, ბოლშევიკური პროპაგანდის უძუელი კანონია.

„რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის ყველა დარგის მუშაობა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, — მიგვითითებს ამხანაგი სტალინი,—მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მუშაობის შედეგები“.

საბჭოთა ხალხი ამჟამად ომისშემდგომი ხუთწლედით ცხოვრობს, ძალონის დაუზოგავად იბრძვის მისი მხარდაჭერით და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რადგან ეს ნიშნავს მძიმე ომით წარმოშობილ სიძნელეთა უსწრაფესად დაძლევას, ხალხის საარსებო დონის ამაღლებას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს სიმტკიცისა და ძლიერების უფრო ზეტად გადიდებას. უდიდესია ომისშემდგომი ხუთწლედის გადაჭარბებით შესრულების მისწრაფება, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების სულ უფრო ფართოდ გაჩაღებაში.

მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის ამოცანა ის არის, რომ უჩვენოს მასებს ომისშემდგომი ხუთწლედის შესრულების მიმდინარეობა და მისი პოლიტიკურ-ისტორიული მნიშვნელობა, აუხსნას მათ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა ეკონომიური და სულიერი დამონების შეადგენს. ამერიკელი იმპერიალისტები—პარასისხლიანი ჰიტლერის გვირგვინის ეს უბადრუკი მოტრფიალეები — ყველა ქვეყანაში ეძებენ რეაქციის და ბნელეთის ძალებს, რათა მათი დახმარებით თავიანთი ბატონობა მოახერხონ მთელ მსოფლიოს. ცრუპატრიოტები, უგვარტომო კოსმოპოლიტები მათ დასაყრდენს წარმოადგენენ ამ საქმეში. ლენინურ-სტალინურმა პროპაგანდამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მათ. მან უნდა უჩვენოს მასებს სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა გამარჯვების მთელი სიდიადე, უჩვენოს ჩვენი სამშობლოს მცირე ვალიანი სახელოვანი გზა, სამშობლოსი, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენ გმირი ხალხის შრომითა და ძალოვნით გადაქცეულია მოწინავე, მძლავრ ინდუსტრიულ-სახელოვნო სოციალისტურ სახელმწიფოდ, უჩვენოს ცოცხალი, დამაჯერებელი, თვით ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით, თუ რა მისცა საბჭოთა სახელმწიფოს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. ასეთია ამჟამად ბოლშევიკური პროპაგანდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მემამულეთა და კაპიტალისტთა თვითმპყრობელური მთავრობა, რათა ხალხები უმეცრებასა და მონობაში ჰყოლოდა, განზრახ უწყობდა ხელს ყოველგვარი უცხოურის წინაშე ქედის მოხრას და თაყვანისცემას. რუსეთის ხალხს საუკუნეობით უწამლავდნენ შეგნებას უხამსი ცრურწმენით, თითქოს დასაელეთს ეკუთვნოდეს პრიორიტეტი მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის ყველა დარგში. მაგრამ ეს სიცრუე იყო. ცნობილია, რომ რუს მეცნიერებსა და გამომგონებლებს ეკუთვნით ბევრი შესანიშნავი აღმოჩენა. მაგრამ მეფის რუსეთში აღმოჩენებსა და გამოგონებებს გასაძანს არ აძლევდნენ, შემდეგ კი მათ ხელთ იგდებდნენ და თავისად ასაღებდნენ კომერციული მიზნებით შემობარული, გაქნილი უცხოელები.

და არა მარტო რუსი ხალხის კულტურა იყო ამ მდგომარეობაში. ცარიზმი „არარულფასოვნად“ აცხადებდა განაპირა ქვეყნების, შუა აზიისა და კავკასიის ხალხებს, ხოლო სარგებლობდნენ რა ცარიზმის მხარდაჭერით, „ამ ხალხების ლიტერატურულ სიმდიდრეს ბურჟუაზიული მეცნიერები უცხოელი ავანტიურალისტების საამებლად მოტყუებით ასაღებდნენ უცხოურ — არაბულ, სპარსულ, თურქულ (სსრკ-ულურ) ლიტერატურათა დანამატად“ („პრავდა“).

ჩვენი ხალხი მოწონებით შეხვდა გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილს „ლიტერატურის ისტორიის გაყალბების და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“. ამ წერილში გამომჟღავნებული იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარის ანტიპატრიოტული, ანტიმეცნიერული საქმეები. აშკარად ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები თავიანთ კრებებზე იხილავენ ამ წერილს და საჰაერე ღონისძიებებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყონ ჩვენი ლიტერატურის ისტორიის საკითხების ბოლშევიკური დამუშავება.

წარსულის უყორესად მავნე ნაშთი— უცხოურის წინაშე ქედის მოხრა — წარმატებით დასძლია სოციალიზმის მშენებელთა მრავალმილიონიანმა მასამ. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და კოლმეურნე გლეხობამ, მისმა საუკეთესო ნაწილმა, სტახანოველებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, წარმოებისა და სახკლეტურნეო შრომის ნოვატორებმა დიდი ხანია დასძლიეს და უკან მოტოვეს კაპიტალიზმის მიღწევანი, ჩვენმა მეცნიერებმა მრავალი ახალი გამოგონებით გააფიდრეს კაცობრიობის კულტურა. მაგრამ კაპიტალიზმის გადმონაშთი — უცხოურის წინაშე ქედის მოხრა — დარჩა ინტელიგენციის მცირე ნაწილში. ჩვენი მებრძოლი ბოლშევიკური პროპაგანდა მოწოდებულია ბოლომდე აღმოფხვრას იგი. საჭიროა ჩვენს ინტელიგენციას ჩაუნერგოთ და განვუმტკიცოთ საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობა, დავეხმაროთ იმ ჭეშმარიტების შეთვისებაში, რომ „კაპიტალის ხუხულებისაგან თავისუფალი უკანასკნელი საბჭოთა მოქალაქე მთელი თავით მაღლა დგას ყოველ უცხოელ მაღალ თანამდებობის მოხელეზე, რომელიც კაპიტალისტური მონობის უღელს ეწევა“ (სტალინი).

კოსმოპოლიტიზმი წარმოადგენს ამერიკელ იმპერიალისტთა იდეოლოგიურ დროშას. ის უბადრუკი „დახმარება“, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები „მარშალის გეგმით“ ცალკეულ ქვეყნებს ჰპირდებიან, არის ბაფანგი, რომლის მიზანსაც ამ ქვეყნების მცხოვრებთა ეკონომიური და სულიერი დამონება შეადგენს. ამერიკელი იმპერიალისტები—პარასისხლიანი ჰიტლერის გვირგვინის ეს უბადრუკი მოტრფიალეები — ყველა ქვეყანაში ეძებენ რეაქციის და ბნელეთის ძალებს, რათა მათი დახმარებით თავიანთი ბატონობა მოახერხონ მთელ მსოფლიოს. ცრუპატრიოტები, უგვარტომო კოსმოპოლიტები მათ დასაყრდენს წარმოადგენენ ამ საქმეში. ლენინურ-სტალინურმა პროპაგანდამ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მათ. მან უნდა უჩვენოს მასებს სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა გამარჯვების მთელი სიდიადე, უჩვენოს ჩვენი სამშობლოს მცირე ვალიანი სახელოვანი გზა, სამშობლოსი, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენ გმირი ხალხის შრომითა და ძალოვნით გადაქცეულია მოწინავე, მძლავრ ინდუსტრიულ-სახელოვნო სოციალისტურ სახელმწიფოდ, უჩვენოს ცოცხალი, დამაჯერებელი, თვით ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით, თუ რა მისცა საბჭოთა სახელმწიფოს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. ასეთია ამჟამად ბოლშევიკური პროპაგანდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

ყვარლის რაიონმა შეასრულა თამბაქოს რგვის გეგმა

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 მაისისათვის შეასრულეს თამბაქოს რგვის გეგმა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★

მარგანეცის ჭრესხმა ხუთი თვის გეგმა შესრულდა

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 28 მაისისათვის შეასრულა ხუთი თვის გეგმა. განსაკუთრებული მაღალი ნაყოფიერებით იმუშავეს ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

ჭიათურელი მაღაროელები გეგმის გადამეტებით თვის ბოლომდე სამშობლოს მისცემენ მრავალ ათას ტონა მარგანეცს.

აბრეშუმის პარკის მოსავალი

ცხაკაიის რაიონის სოფელ თეკლათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა შ. გრიგოლაიამ კარგად შეისწავლა ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება და ფართოდ გავრცელა იგი. პირადად ამ. გრიგოლაია უთლიდა 6 გრამი თესლიდან გამოყვანილ ჭიას, მისი გამოკვება დაამთავრა 23 დღეში და სახელმწიფოს 39 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა, გეგმა შეასრულა 252 პროცენტით.

* * *

ქალაქ ქუთაისის მეაბრეშუმემ ნინო ლოსაბერიძემ 8 გრამი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 56 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. წარჩინებულმა მეაბრეშუმემ გეგმა 201 პროცენტით შეასრულა.

ქუთაისის ღიპოკონის ქარხანაში

ბარიტის გამამუხვეველი ფაბრიკა

ქარხნის ძირითადი ნედლეულის — ბარიტის გამდიდრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამომშვებული პროდუქციის ხარისხისათვის. სამთო რაიონები, სადაც ხდება მოპოვებული ბარიტის გამდიდრება, მექანიზაციის მხრივ ხაკლეს სრულყოფის გამო ზოგჯერ არასრულფასოვან ნედლეულს აწვდიან ქარხანას.

ამის გამო, რომ ადგილზე სრული მექანიზაცია დიდ თანხებს მოითხოვდა, გადაწყდა ქარხნის ტერიტორიაზე აიგოს ბარიტის გამამუხვეველი ფაბრიკა. იგი უახლესი ტექნიკით იქნება მოწყობილი და დღეში 60 ტონა ბარიტს გაამდიდრებს.

ფაბრიკის ასაგებად გამოყოფილია 400 ათასი მანეთი.

საამქროს რეკონსტრუქცია

დაიწყო ლიტოპონის ქარხნის თუთიის საამქროს რეკონსტრუქცია, რასაც 100 ათასამდე მანეთი მოხმარდება. საამქროში წლეულს საცვლად იღებება სპეციალური რეზერვუარები, რომლებიც საგრძნობლად გაადიდებენ თუთიის ჯამების გამოსავალს.

რეკონსტრუქციის შედეგად ერთი მესამედით გაიზრდება საამქროს წარმადობა, ორ პროცენტამდე შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად განთავისუფლდება რამდენიმე კაცი.

მუშათა ახალი კლუბი

კლუბისათვის ლიტოპონის ქარხანასთან საუკეთესო შენობა ააგეს და ამჟამად შიგა სამუშაოს აწარმოებენ. 450 მაყურებლისათვის განკუთვნილ კლუბს ექნება მაყურებელთა კეთილმწყობილი დარბაზი პარტერით, იარუსით, მსახიობთა ოთახებით და ფოიეთი. ცალკეა კინოთეატრის დარბაზი.

კლუბის საჭიროებისათვის გათვალისწინებულია დაიხარჯოს 750 ათასი მანეთი. (საკ. კორ.).



თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. სურათზე: ამწყობი-ზეინკალი შ. სოხიაშვილი, რომელსაც შესრულებული აქვს ექვსი წლის ნორმა, მარჯვნივ საამქროს უფროსი ვ. ქურდაძე თვალყურს ადევნებს დაზგის რთული დეტალის დამუშავებას

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მზადება რკინიგზელის სტაჟინური დღისათვის

ახალი გამარჯვებებისათვის იბრძვიან

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა საპარელმაისო სოციალისტური შეჯიბრებითი ნაკისრი ვალდებულებანი და თვალსაჩინო მიღწევებით აღნიშნა განვლილი ოთხი თვე. დეპოელებმა გეგმის გადამეტებით უზრუნველყვეს რამდენიმე ორთქლმავალის გარეცხვითი შეკეთება, აწევითი და საშუალო შეკეთება. ნორმასთან შედარებით 5,2 პროცენტით შეამცირეს „ავადმყოფ“ ორთქლმავალთა რაოდენობა და საათში 0,8 კილომეტრით გაადიდეს ტექნიკური სიჩქარე.

დეპოს კოლექტივი აპრილში შეუდგა ორთქლმავლის აწევითი შეკეთების სწრაფი მეთოდის დანერგვას. ერთი ორთქლმავლის შეკეთებას ნორმით გათვალისწინებული 96 საათის ნაცვლად მოანდომეს მხოლოდ 22 საათი. სწრაფი მეთოდით მუშაობის დანერგვაში თავი ისახელეს ზეინკალმა ვ. ნიკოლეიშვილმა, მექვაბე ი. დემეტრაშვილმა, შემლოქებელმა ვ. პატარქალაშვილმა და სხვებმა.

სახელოვან მემანქანეებს დ. ჭარბაძეს, ვ. ჩომახიძეს, ა. ჯღმაძეს და სხვებს სისტემატურად დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები. განვლილ ოთხ თვეში მათ 814 ასეთი მატარებელი გაატარეს და გეგმის გადამეტებით 68.869 ტონა ტვირთი გადაზიდეს.

დეპოელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი თბილისის საელექტრომავლო დეპოს კოლექტივის ინიციატივას რკინიგზელის სტანდარტი დღის ალსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გამლის შესახებ და თავის მხრივ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ლენინაკანის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი და ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს ორთქლმავალთა დგომა საშუალო შეკეთებაში ნორმასთან შედარებით შეამცირონ 12 საათით და აწევითი შეკეთებაში — 5 საათით, დაზოგონ საწვავი.

რკინიგზელის სტანდარტი დღის აღსანიშნავად შეჯიბრებაში ჩაბმის მეორე დღესვე სტახანოველმა მღარველმა ვ. ტოკაძემ გეგმა 360 პროცენტით შეასრულა, მრანდავმა გ. ჯანველოვმა — 305 პროცენტით, ზეინკლებმა ა. მეჯლუმიანმა და ნ. გნატოვსკიმ — 450 პროცენტით, ხარატმა ი. ხერუაშვილმა—253 პროცენტით. ასევე მაღალყოფიერად მუშაობენ ხარატი ა. გეჯაძე, მჭედელი ზ. ხერუაშვილი, მეურნეე ა. ონეზაშვილი და სხვები.

ხაშურელ რკინიგზელთა ვალდებულებანი

ხაშური. (საკ. კორ.). საელექტრომავლო დეპოს მუშებმა და მემანქანეებმა გულდასმით განიხილეს თბილისელ რკინიგზელთა მოწოდება რკინიგზელის სტანდარტი დღის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მათ გაიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ელექტრომავლის ტექნიკური სიჩქარე გაადიდონ საათში 1,5 კილომეტრით, რკინიგზელის საკვაფრო დღისათვის შეასრულონ 9 თვის დავალება, ოთხი დღით შეამცირონ „ავადმყოფ“ ორთქლმავალთა რაოდენობა და გეგმა, მატარებლის წევაზე დაზოგონ 500 ათასი კილოვატსათი ელექტროენერგია, საბრძანა-სამუშაოთა ბრიგადის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლონ 50 ათასი მანეთი, გაატკბობესონ ელექტრომავალთა რემონტისა და მისი მუშაობის ხარისხი.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა მემანქანეებმა, ელექტრომონტიორებმა, ხარატებმა, მჭედლებმა და სხვა პროფესიის მუშებმა.

ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის დეპოში ახალი ენერგიით გაჩაღდა მუშაობა.

უბანი ჰიდრავლიკურ ვსებაზე

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში ერთი თვის წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი უბანი, სადაც ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით მუშაობენ. ამ უბანში ყოველდღე 150-180 ტონა ქვანახშირს აღებენ. ქვანახშირის ბურღვა-აფეთქება და გამოტანა მთლიანად მექანიზებულია. ამ საქმეს ემსახურება ორი მომხვეტი კონვეიერი, რამდენიმე ელექტრობურღი, პნევმატორი და მომხვრევი ჩაქუჩები.

ქვანახშირის მოპოვების ახალი მეთოდის დაუფლების საქმეში თავი ისახელეს ახალგაზრდა მნგრეველ-მებეგეებმა ა. ბაკურაძემ, გ. კუბლაშვილმა, გ. სუთიძემ, ა. სოფრომაძემ და სხვებმა. თვითეული მათგანი დღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ანაღდებს.

შახტში მთელი რიგი ღონისძიებანი ტარდება იმისათვის, რათა ივლისის შუა რიცხვებში ჰიდრავლიკურ ვსებაზე გადაყვანილ იქნას კიდევ ერთი მძლავრი უბანი.

წიდაბეტონური ქვის ქარხანა

სამტრედია. (საკ. კორ.). სოფელ ბაძაგნარში დაიწყო წიდაბეტონური ქვის ქარხნის მშენებლობა. ამ დამზადებული წიდაბეტონური ქვა გამოყენებული იქნება საქართველოს ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობისათვის.

ქარხნის მშენებლობაზე, რომელიც მიმდინარე წელს დამთავრდება, 994.000 მანეთი დაიხარჯება.

გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სადგურ სამტრედიდან ქარხნისათვის 1,5 კილომეტრზე რკინიგზის ჩიხის გაყვანა და 1.200 მეტრზე ქარხანასთან მისასვლელი გზის მოკირწყლვა.

აბაგეს ელსადგური

აბაშა. (საკ. კორ.). სოფელ ონტოფოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ააგო მცირეძალიანი ელექტროსადგური. ახლა ალიჩის ჭათურებით გაჩრაღებულია 300 კოლმეურნის ბინა, კოლმეურნეობის ქანტორა, საექიმო უბანი და საშუალო სკოლის შენობა.

საკოლმეურნეო ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო აგრეთვე სოფელ ტყვარჩის სტანდის სახელობის კოლმეურნეობაში.

კულტურისა და დასვენების პარკი

დუშეთი. (საკ. კორ.). მთავრდება კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა. პარკის ტერიტორიაზე მრავალი მარადმწვანე და დეკორაციული ქცეარი დარგეს. აქვე დამთავრდა საზაფხულო თეატრის მშენებლობა, რომელიც 500 კაცს იტევს, დაიდგა სტაციონარული კინოაპარატები. პარკში დადგმულია ვ. ი. ლენინის ძეგლი და ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომელთა ცვარცხლებაცება მარმარილოთია მოპირკეთებული. პარკის კეთილმოწყობაზე 156.000 მანეთი დაიხარჯა.

საკოლმეურნეო აბანოები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სოფელ ორჯონიკიძის, რუხის ბერიას, ახალსოფლის ბერიას და „ცოლიხაულ“ და ჭაკვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში ამუშავდა ახალი საკოლმეურნეო აბანოები. აბანოებს აგებენ ცაიშის პირველი მაისისა და ზოფელ ორსანტიის გაგარკორის სახელობის კოლმეურნეობებიც.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი

გამოვიდა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი, რომელიც მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეათე ტომი შეიცავს 1927 წლის ივნისტოდან დეკემბრამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

1927 წლის დამლევისათვის მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გადამწყვეტი წარმატებანი. ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხალხის წინაშე დაისახა ხაარსებო ამოცანა ხოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე გადასვლისა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობისადმი ი. ბ. სტალინი იძლევა საბჭოთა კავშირის პარტიაშირისო მდგომარეობის, კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობის, მთელ მსოფლიოში რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის ანალიზს; გვიჩვენებს სსრ კავშირში კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს; განსაზღვრავს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური მბრძანებელი მწარეობლების გაფართოებისა და განმტკიცების და კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის ამოცანებს. ი. ბ. სტალინი ახახუობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსს, რომელიც ყრილობამ მოიწონა და მიიღო.

საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებასა და მოხსენების გამო წარმოთქმულ სახლოვო სიტყვაში, „რუხეთის ოპოზიციის პლატფორის სახე“, „ტროცკისტული ოპოზიცია წინათ და ახლა“, „პარტია და ოპოზიცია“ და სხვა ნაწარმოებებში ი. ბ. სტალინი ამ ნაწარმოებებში ი. ბ. სტალინი ამ პარტიის წინაშე ტროცკისტულ-ზინოვიევური ანტიპარტიული ბლოკის სრული ორგანიზაციული განადგურებისა და ლიკვიდაციის ამოცანას, ბაზალამით აღნიშნავს ბოლშევიკური პარტიის რიგებში ერთიანობისა და რკინისებური დისციპლინისათვის დაუღალავი ბრძოლის აუცილებლობას.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებები „ოქტომბრის რევოლუციის ხაერთაშორისო ხასიათი“, „ხაუბარი უცხოეთის მუშათა დელეგაციებთან“, „სსრ კავშირის ხაერთაშორისო მდგომარეობა და დაცვა“ ცხადყოფენ მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომელიც მოახწავებს ძირითად მობრუნებას კაპიტალიზმიდან კომუნიზმისკენ, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე. ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის, როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზის, მნიშვნელობას და იმპერიალიზმის თავდასხმებისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის აუცილებლობას.

„ხაუბარში ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან“ ი. ბ. სტალინი ცხადყოფს მარქსიზმისა და ლენინიზმის განუყრელ ერთიანობას და გვიჩვენებს იმ ახალს, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის ხაერთო ხაგანძურში, ავთარებდა მის მარქს-ენგელსის მოძღვრების ახალი ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის შესახებ.

მეათე ტომში პირველად ქვეყნდება წერილი „მხანაგ მ. ი. ულიანოვასადმი. პასუხი ამხანაგ ლ. მიხელსონს“ და „კონსპექტი სტატიის „ოქტომბრის რევოლუციის ხაერთაშორისო ხასიათი“.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეშვიდე ტომის გამოცემა სომხურ ენაზე

ერევანი, 24 მაისი. (საკდესი). სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სომხურ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეშვიდე ტომი. თარგმანი შესრულებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის მიერ. (საკდესი).

სამეცნიერო სესია ფილოსოფიის ინსტიტუტში

1—2 ივნისს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგება აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის“ ორმოცი წლისთავისადმი.

სესიაზე მოხსენებას წაიკითხავენ:

1 ივნისს

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პ. შარია — „ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ როგორც ახალი ეტაპი დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებაში“. 2. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. თაყაიშვილი — „ბელოვნების ზოგიერთი საკითხი ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ჯ. მიმეთმატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლ. გოკიელი — „ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ და თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთი საკითხი“.

2 ივნისს

1. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი დ. კალანდაძე — „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები ლენინის წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. 2. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ს. წურწუმია — „ლენინი ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნების შესახებ“. 3. ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. შუშანაშვილი — „ვ. ი. ლენინი პრაქტიკის როლის შესახებ შემეცნების პროცესში“.

დასწრება თავისუფალია. სხდომების დასაწყისი დღის 11 საათზე.

პარტიული ცხოვრება

გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში!

ღაპარაკობენ მოწინავე აგიტატორები

აგიტაცია კონკრეტული მაგალითებით

საგიტაციო მუშაობის ხუთი წლის გამოცდილება მაქვს, ხოლო ფერმაში აგიტატორად სულ სამი თვეა ვმუშაობ. ეს კოლმეურნეობის ისეთი უბანია, რომელიც მუშაობის ხასიათის გამო დაცილებულია სოფლის კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ ბუნებრივია ფერმის მუშაკების დიდი ინტერესი, რომელსაც ისინი საგიტაციო საუბრებისადმი იჩენენ.

ფერმაში საგიტაციო მუშაობა ადგილობრივი პირობების შესწავლით დავიწყე. გავეცანი პირუტყვის საკვების ბაზას, შრომის ორგანიზაციას, ალრიცხვის საქმეს, დისციპლინას. მუშაკებს შორის, სანიტარულ მდგომარეობას, რომელიც ძლიერ მოიკოქტებდა მეღორეობის ფერმაში.

დიდმა და ხანგრძლივმა ზამთარმა საფრთხე შეუქმნა საქონლის გამოკვების საქმეს. საკვები საკმაო არ აღმოჩნდა, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა პირუტყვის დასუსტება, სიკვდილიანობა. ამ საკითხზე საუბარი მქონდა ფერმის მუშაკებთან; ვილაპარაკეთ იმ საშიშროების შესახებ, რაც პირუტყვს მოელოდა; გადავწყვიტეთ მოსახელოსნისათვის მიგვემართა დახმარების მისაღებად, და კიდეც შევძელით 10 ტონა საკვების შეგროვება. ამან დასუსტებისაგან იხსნა პირუტყვი.

მუშაობის დაწყების პირველ დღეებშივე შევამჩნიე, რომ ფერმაში შრომის დისციპლინა მოიკოჭლებდა. მწყემსი გ. ოსეფაშვილი მუშაობას გაურბოდა, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა დაკისრებულ საქმეს. მორიგი საგიტაციო საუბარი შრომის დისციპლინის საკითხს მივუძღვენი, შევაქე მოწინავენი, მივუთითე ჩამორჩენილებს, შემდეგ კვლავ მოველაპარაკე გ. ოსეფაშვილს, რომ მისი ასეთი საქციელი ზიანს აყენებდა კოლმეურნეობას, დავარწმუნე, რომ მას, როგორც საბჭოთა ადამიანს, უფლება არა აქვს ასე დაუდევრად ეპყრობოდეს საერთო საქმეს. ამ საუბრებმა სასურველი შედეგი გამოიღეს. ამჟამად გ. ოსეფაშვილი მუყაითად შრომობს და თვეში 40-45 შრომადღეს იმუშავებს.

მუშაობის დაწყების პირველ დღეებშივე შევძელი ფერმაში „პატარა მძივი ბიბლიოთეკის მოწყობა, გვაქვს რამდენიმე ათეული ბროშურა, ჟურნალ-გაზეთები, დავდგით რადიომიმღები, თვალსაჩინო ადგილზე გამოვაკარით ლოზუნგები, პლაკატები და სურათები, რომლებიც ფერმის მუშაკებს მოუთხრობენ ჩვენს ქვეყანაში გიგანტური მშენებლობის საკითხებზე. ჩემი მოთხოვნით ფერმაში უჩვენეს ცნობილი საბჭოთა კინოფილმი „მიჩურინი“.

საგიტაციო საუბარს ფერმის 13 მუშაკთან კვირაში ორჯერ ვატარებ. ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემი საუბარი სიინტერესო იყოს, რომ მსმენელებს ახალი და ცოცხალი მასალები მივაწოდო. საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან ერთად ყოველთვის ვსაუბრობ ფერმის კონკრეტულ სამეურნეო საკითხებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ, ჩვენი ფერმის მუშაკებისა და ორდენოსნების და მედლებით დაჯილდოების შესახებ, კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, გადაურბებით შეასრულონ წელის სახელმწიფო გეგმა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მწველავებმა ანსტასია ქდეგაროვამ და სოფიო შატბერაშვილმა. შეჯიბრებაში გამოვწვიეთ ბორჯომის რაიონის სოფელ მზეთამზის მიმტკიცის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმას მე ხუთი საუბარი მივუძღვენი. პირველად მსმენელებს ვუამბე ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების დარგში მუშაობა წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ახლა საქონლის სადგომში სამაგალითო სისუფთავეა.

როდესაც ფერმის მუშაკებს გავაცანით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მესაქონლეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეცხოველეობაში საუკეთესო მიჩენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ, კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, გადაურბებით შეასრულონ წელის სახელმწიფო გეგმა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მწველავებმა ანსტასია ქდეგაროვამ და სოფიო შატბერაშვილმა. შეჯიბრებაში გამოვწვიეთ ბორჯომის რაიონის სოფელ მზეთამზის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმას მე ხუთი საუბარი მივუძღვენი. პირველად მსმენელებს ვუამბე ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების დარგის მუშაკთა წვლილზე. ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. მოვიყვანე საუკეთესო მწველავის ამბავი. ს. შატბერაშვილის მაგალითი. იგი 8 წელიწადია მონინავეა მწველავის სპარტაო სახელს ინარჩუნებს. დასასრულ ფერმის მუშაკებს მოვუწოდე მიბაძონ შატბერაშვილის მაგალითს, იბრძოლონ პირუტყვის პროდუქტიულობის განსახრელი ზრდისათვის.

ასეთი კონკრეტული მაგალითების გამოყენებით მოვაწყე შემდგომი მეცადინეობაც.

ჩვენი ფერმის საქონელი ახლა საზაფხულო იალაღებზე მიდის. უკანასკნელი მეცადინეობა მივუძღვენი იალაღებზე პირუტყვის მოვლის საკითხს, დაწვრილებით განვმარტე, თუ რამდენად არის დამოკიდებული მეცხოველეობის საერთო აღმავლობის საქმე თვითეული ფერმის, მისი ყოველი მუშაკის გულმოდგინე მუშაობაზე.

შევეცადეთ უფრო მეტი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, რათა ჩემმა აგიტაციამ ხელი შეუწყოს საერთო საქმის წარმატებას.

პ. ჯაფიაშვილი

ბორჯომის რაიონის სოფელ დაბის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის აგიტატორი

მეცხოველეობის სწრაფი განვითარება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „1949-1951 წლებში მეცხოველეობაში მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც დიდად შეუწყობენ ხელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ განმტკიცებას და ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნას.

დიდი სტალინის გენიით შექმნილმა საკოლმეურნეო წყობილებამ ყველა ჩვენი ადამიანისათვის ნამდვილად ბედნიერი მეცხოველეობის სწრაფი ზრდისათვის. როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, „ამჟამად, როცა მიღწეულია სერიოზული წარმატებანი მარცვლეული მეურნეობის აღმავლობაში და შექმნილია საჭირო წინაპირობები მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარების ამოცანა, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ცენტრალური ამოცანა სოფლის მეურნეობის გასვითარებაში“.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეებმა და მეცხოველეების მუშაკებმა, რომლებიც დიდი სიხარულით გაეცნენ ამ მეტად მნიშვნელოვან დადგენილებას, ვალდებულება აიღეს მოლე ვადაში აღმოფხვრან მეცხოველეობაში არსებული ნაკლოვანებანი, თავდადებით იბრძოლონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დუშეთის რაიონი ძირითადად მეცხოველეობის რაიონია. შარშან კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს 1947 წელთან შედარებით. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 2,8 პროცენტით, ღორისა—21 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—19,4 პროცენტით, ცხენისა—16,7 პროცენტით. ბევრმა კოლმეურნეობამ გააუმჯობესა პირუტყვის მოვლა. კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების გეგმა.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში კარგ შედეგებს მიაღწიეს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, ცალკეულმა მოწინავეებმა. სოფელ სანალიჭალის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მაშო წოკლაურმა მიჩენილი 12 ძროხისაგან მიიღო და მთლიანად შეინარჩუნა 12 ხბო; მაჭართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მარიამ წოკლაურმა 11 ძროხისაგან მიიღო და შეინარჩუნა 11 ხბო; სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრ კონსტანტინე ბასლაშვილს მიჩენილი ჰყავს მოსაელად 31 ყული ხბო, რომელსაც შესანიშნავად უვლის.

სოფელ ხადის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირმა პაველ წამალაძემ მიჩენილი 800 სული ცხვარი სანიმუშოდ გამოაზამთრა. მას გეგმით უნდა შეენარჩუნებინა 750 ბატკანი, შეინარჩუნა 755; თვითეულ სულ ცხვარზე გეგმით უნდა მიეღო 2,4 კილოგრამი მატყლი, მიიღო 3 კილოგრამი; თვითეულ ცხვარზე მიიღო 13 ლიტრი რძე, ნაცვლად 12 ლიტრისა.

სოფელ ჩოხის კოლმეურნეობა „შრომის დროშას“ მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირმა ბურთა ოფიაურმა მიჩენილი 1.300 სული მეტისური ცხვარი სანიმუშოდ გამოაზამთრა: გეგმით უნდა მიეღო და შეენარჩუნებინა 1.235 ბატკანი, ფაქტიურად შეინარჩუნა 1.274 ბატკანი; თვითეულ ცხვარზე მიიღო 2,8 კილოგრამი მატყლი, ნაცვლად 2,4 კილოგრამისა და 12,5 ლიტრი რძე, ნაცვლად 12 ლიტრისა.

სოფელ დოღასქედის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსს რაედენ წოკლაურს მოსაელელად მიჩენილი ჰყავს 1.000 სული დედაცხვარი. 1947-1948 წლებში მან ცხვარი სანიმუშოდ გამოაზამთრა. უნდა მიეღო და შეენარჩუნებინა 950 სული ბატკანი, შეინარჩუნა 970 ბატკანი.

ასეთი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება ჩვენი რაიონის კოლმეურნეობების ცხოვრებიდან. კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა სანიმუშოდ უვლის პირუტყვს და იბრძვის მაღალი პროდუქტიულობისათვის.

მაგრამ ასე რიდი ითმის სოფელ მაღაროსკარის სტალინის სახელობის, სოფელ ჩარგლის ვაჟა-ფშაველას, მიგრაულების ბერიას, არბოეთის ორჯონიკიძის, სოფელ ოძისის ბერიას და სოფელ ყვავილის ჭონქაძის სახელობის კოლმეურნეობებზე. ამ კოლმეურნეობათა გამგეობები სუსტად ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის საქმეს. ამიტომაც პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია და გარდა ამისა, ადგილი აქვს პირუტყვის საკვდილიანობას.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას დიდად აფერხებს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. მეცხოველეობის სამწლიანი გეგმა (1949-1951 წლები)“ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და ძლევარი განვითარების გაწლილი პროგრამაა. ამ პროგრამით შეიარაღებული დუშეთის რაიონის ბოლშევიკები, რომლებიც ამხანაგ ლავრენტი პაველს-ძე ბერიას მიერ აღზრდილი არიან ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და ყოველდღიური დახმარებით ახალ წარმატებას მიაღწევენ პროდუქტიული მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ვ. ტოგონიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიონის მდივანი

საუბრები ფერმის მუშაკებთან

საუბრის მოსასმენად წითელ კუთხეში ყოველთვის დანიშნულ დროზე იკრიბებიან ჩვენი კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები. მათ აინტერესებთ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, საბჭოთა ხალხის პატრიოტული საქმეები, რომელთა შესახებ ცნობებს უხვად იძლევა ჩვენი პრესა. ვცდილობ ჩემი საუბარი ყოველთვის ჩვენი ფერმის მუშაობის კონკრეტული მაგალითების განზოგადებით დავიწყო. მაგალითად, როდესაც ვესაუბრებოდი მწყემსებს მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელობის შესახებ, გავაკრიტიკე მწყემსი გ. ედგაროვი, რომელიც სისტემატურად არღვევდა შრომის დისციპლინას, ვერ უვლიდა პირუტყვს, რის შედეგად მისთვის მოსავლელად მიჩენილი პირუტყვის პროდუქტიულობამ იკლო. ამის შემდეგ ედგაროვმა უკეთ დაიწყო მუშაობა, ახლა იგი ჩვენი საკოლმეურნეო ფერმის ერთ-ერთი მოწინავე მუშაკია.

ჩემი ერთ-ერთი საუბარი საქონლის სადგომში სისუფთავის დაცვას მიეძღვნები. ადგილობრივი მაგალითების ჩვენებით ნათელვყავი, რომ უსუფთაობა ავრცელებს სხვადასხვა დაავადებას, რაც იწვევს პირუტყვის სიკვდილიანობას და პროდუქტიულობის დაცემას.

ამან სათანადო ნაყოფი გამოიღო. ახლა სადგომში სამაგალითო სისუფთავეა.

ფერმის მუშაკებს გავაცანით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მესაქონლეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეცხოველეობაში საუკეთესო მიჩენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ, კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, გადაურბებით შეასრულონ წელის სახელმწიფო გეგმა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მწველავებმა ანსტასია ქდეგაროვამ და სოფიო შატბერაშვილმა. შეჯიბრებაში გამოვწვიეთ ბორჯომის რაიონის სოფელ მზეთამზის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმას მე ხუთი საუბარი მივუძღვენი. პირველად მსმენელებს ვუამბე ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების დარგში მუშაობა წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ახლა საქონლის სადგომში სამაგალითო სისუფთავეა.

როდესაც ფერმის მუშაკებს გავაცანით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მესაქონლეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეცხოველეობაში საუკეთესო მიჩენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ, კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, გადაურბებით შეასრულონ წელის სახელმწიფო გეგმა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მოწინავე მწველავებმა ანსტასია ქდეგაროვამ და სოფიო შატბერაშვილმა. შეჯიბრებაში გამოვწვიეთ ბორჯომის რაიონის სოფელ მზეთამზის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმა.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიან გეგმას მე ხუთი საუბარი მივუძღვენი. პირველად მსმენელებს ვუამბე ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების დარგის მუშაკთა წვლილზე. ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. მოვიყვანე საუკეთესო მწველავის ამბავი. ს. შატბერაშვილის მაგალითი. იგი 8 წელიწადია მონინავეა მწველავის სპარტაო სახელს ინარჩუნებს. დასასრულ ფერმის მუშაკებს მოვუწოდე მიბაძონ შატბერაშვილის მაგალითს, იბრძოლონ პირუტყვის პროდუქტიულობის განსახრელი ზრდისათვის.

ერთ-ერთი საუბრის დროს გადავწყვიტეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგვეწვია მეზობელი მეცხვარეობის ბრიგადა. მეზობლებმა გამოწვევა მიიღეს. ზმირად ვესაუბრებოდი მეცხვარეებს შეჯიბრებით ბაყისრ ვალდებულებათა განხილვების საკითხებზე.

მინდა აღვნიშნო ზოგიერთი ნაკლი: შორსაწყი ჟურნალ-გაზეთების მოსვლა შემთხვევით ხასიათს ატარებს, რაც ცხადია, გარკვეულ შეფერხებას იწვევს. გარდა ამისა, რადიომიმღები, რომელიც კოლმეურნეობამ შეგვიძინა, ძალიან ხშირად ფუჭდება, მისი შეკეთება შეუძლებელი ხდება, რადგან ადგილზე არა გვყავს სპეციალისტები. ამ საკითხების მოგვარება არც ისე ძნელია. ჟურნალ-გაზეთების მიღება შეიძლებელია მოვაწყოთ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან ადგილობრივი ფოსტის საშუალებით, ხოლო მეცხვარეებიდან რადიოტექნის მოშზადება დიდად წაწევდა წინ საქმეს. ჩვენთან შირაზნში ძალიან ბევრიათად ჩამოდიან რაინონის კულტურული ძალები; ვცდილ ჩვენი აგიტკოლექტივის დახმარებას ვგრძნობთ. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

ამჟამად ცხვარი საზაფხულო საძოვრებზე მიდის. ჩემი საგიტაციო უბანიც დროებით იქ გადადის. შევეცდები მთელი ჩემი მუშაობა ისე წარვმართო, რომ თვითეული მწყემსი ბოლშევიკურად იბრძოდეს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის.

ი. გაგნიძე

ახმეტის რაიონის ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადის აგიტატორი

საუბრები ფერმის მუშაკებთან

გასული წლის ოქტომბრიდან კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ აგიტატორად დამამტკიცა ფერმის მუშაკთა შორის. დიდი მოწდომებით შევუდექი ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას. მუშაობა ფერმის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლით დავიწყე. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ფერმაში მოიკოჭლებდა სისუფთავის დაცვა, რაც ცუდ გავლენას ახდენდა წველადობასა და ცხველთა ნამატის შენარჩუნებაზე. შევადგინე მსმენელთა ზუსტი სია, შევისწავლე მათი წარმატებანი და ნაკლოვანებანი, რა უშლიდა ხელს ჩამორჩენილებს და სხვ.

პირველი მეცადინეობა მივუძღვენი ფერმაში პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და პროდუქტიულობის ზრდის საკითხს. საუბარში განვზოგადე ჩვენი ფერმის მოწინავეთა გამოცდილება, შევაქე ისინი, ხოლო ჩამორჩენილები გავკიცხე. პირიქით საუბარისთანავე გამოირკვა, რომ მწყემსები უვარგის ბინაში ცხოვრობდნენ, მათ დამაუალეს — მოველაპარაკებოდი კოლმეურნეობის გამგეობას მწყემსების ბინის შეკეთების შესახებ. ეს საკითხი უმალვე დავაყენე გამგეობის წინაშე და საქმეც მოგვარდა. შემდეგ მიეადნეობაზე სისუფთავის მნიშვნელობაზე ვილაპარაკე.

მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ ფერმის მუშაკთა შორის ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. როცა ამ დადგენილებას ვკარგად შევისწავლე, გავუგებარი საკითხების განმარტებისათვის რაიონის ვეტკაქიმს მივმართე, განსაკუთრებით ჩავიწიწნე ის ადგილები, რაც ჩვენ შეგვეხებოდა, მთელი მასალა დავყავი 6 თავად და შევუდექი მის პროპაგანდას ფერმის მუშაკებში. დადგენილებამ ფერმის მუშაკთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ამ დადგენილების განხორციელებისათვის კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს: მოთიბონ 20 ჰექტარი ბალახი, დაამუშაონ 14 ჰექტარი სასილოსე სიმინდის ნაკვეთი, მოიყვანონ 2 ჰექტარი საკვები ჭარხალი; ორივე ფერმაში დაგეგმარებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა, მიაღწიონ ნამატის მთლიან შენარჩუნებას და თვითეულ პროდუქტიულ ძროხაზე სახელმწიფოს ჩაბარონ 250 კილოგრამი ყველი და 20 კილოგრამი კარაქი. ინდივიდუალური ვალდებულებანი იკისრეს კომკავშირელმა მწყემსმა მ. ცირეკაშვილმა და მწველავმა ა. დოლმაზაშვილმა. კოლმეურნეები შეუდგნენ ამ ვალდებულების განაღდებას და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ახალმოსული კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკები.

ამით არ დავკმაყოფილდები. ერთი წუთითაც არ შევანელებ მუშაობას, ჩემი საუბრებით დავეხმარები ფერმის მუშაკებს, რათა მალალ მოგნებებს მივაღწიოთ და ამით მოვიპოვოთ 1950 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

გ. იმერლიშვილი

ყვარლის რაიონის სოფელ ყვარლის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ფერმის აგიტატორი

ერთი ამბავი

ს. ჩარგლის ვაჟა-ფშაველის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მწყემსი ალექსანდრე ბერიძე ერთ დილას ადრიანად ადგა, ცხვარი ბაგეში ჩაყარა, ჩალა დაუყარა და ფიქრობდა, ახლა ხომ არ დავისვენებ-მეთქი. ამ დროს ფერმის გამგემ ბერიძეს ცხენი მიუყვანა და უთხრა: ბიჭო, ადექი, ცხენზე შეჯექი და ჩქარა ჩადი სოფელში, ფოსტიდან ჩემი ჟურნალ-გაზეთები აიღე და მალე დაბრუნდიო.

ბერიძემ ცხენი შეაჭენა. ფოსტასთან ჩამოხტა, ჟურნალ-გაზეთები აიღო და ისევ ცხენზე შეჯდა. ამ დროს ფოსტის უფროსმა ქალმა ბერიძეს ფოსტა მიაწოდა და სთხოვა, ეს ფოსტა ჩქარა მიიტანეო.

ბერიძემ ფოსტა ჩანთაში ჩაიდო და ცხენი გააქროლა. ფერმაში ჩამოხტა, ცხენი ბაგეში მიაბა და ფოსტა ჩანთიდან ამოიღო. ამ დროს ფერმის გამგემ ბერიძეს ჟურნალ-გაზეთები გამოართვა და ფოსტა ჩანთაში ჩაუდო. ბერიძემ ჩანთა ზურგზე მოიკიდა და ისევ ცხენზე შეჯდა.

ბერიძე ცხენით მიდის, ფიქრობს, ფოსტა ჩანთაში ჩაიდო, ჩანთა ზურგზე მოიკიდა, ცხენზე შეჯდა, ცხენი გააქროლა, ფოსტა ჩანთიდან ამოიღო, ჩანთა ზურგზე მოიკიდა, ცხენზე შეჯდა, ცხენი გააქროლა

ხვნა-თესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ

წალკაში ზვნათესვის საუკეთესო ვადებს ხელიდან უშვებენ. სოფელ ქუმბათის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ (თავმჯდომარე ი. დანეგავი) საკმაოდ ჰყავდა მუშაბირუტყვი, ბევრია მუშახელიც. მაგრამ აქ საგაზაფხულო ხვნის, ხორბლეულის, მრავალწლიანი ბალახებისა და კარტოფილის თესვის დაგვიანება მაინც შეუსრულებელია. მეორე ბრიგადის ბუღრთა საგრძნობი ნაწილი სისუსტისტრად არ მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში. მაგალითად, 23 მაისს მინდვრად სამუშაოდ არ გასულა 15 კოლმეურნე, ხოლო ვინც მუშაობდა, ისინიც საკოლმეურნეო მინდვრიდან დაბრუნდნენ საღამოს 5 საათზე. ამ ბრიგადას ხორბლეულის თესვის გეგმაც არა აქვს შესრულებული. მოწყობილი არა აქვთ საბავშვო ბაგა, რის გამო ქალთა საგრძნობი ნაწილი მინდორში ვერ იღებს მინდვრის სამუშაოებში. შრომის დისციპლინის საკითხი არ გამხდარა არც გაგრეობისა და არც პირველადი პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგნად.

სოფელ ბეშტაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას რაიონში ყველაზე მეტი საგაზაფხულო კულტურის სათესი ფართობი აქვს. სწორედ ასეთ დიდ კოლმეურნეობაში დახმარებისათვის ხშირად დადის წალკის რაიკომის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯ. სეფსაძოვი. ჩვენც გვეკონა, რომ აქ საქმეებიდან ყარგად სრულდებოდა. მაგრამ შრომის მოუწესრიგებლობის გამო დღემდე არ შეუსრულებიათ ხვნის, ხორბლისა და კარტოფილის თესვის გეგმები. აქ არის 30 რგოლი და დღემდე რატომღაც არც ერთ რგოლს არა აქვს მიცემული საწარმოო დავალებები. ამას გარდა, იანვრიდან დღემდე კოლმეურნეთა ანგარიშსწორების წიგნში შრომადღეები არ არის გადაანგარიში.

სოფელ თაქილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. ჯეირანოვი) არ შეუსრულებიათ კარტოფილის თესვის გეგმა. ირღვევა აგროწესები. მაგალითად, მერვე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ს. ნაზლოვმა ნაკვეთების მოხვნისას ცარიელი ადგილები დატოვა, მოხნული ნაკვეთის თავებიც არ გადახნა. ამ ფაქტს კი კოლმეურნეობა რატომღაც შეუნიშნებია. გარდა ამისა, ზოგან ფართობებზე მოგროვილი ქვები ყრია, მათი გადატანა ვერ მოუხერხებიათ. ესეც ხელს უშლის სამუშაოს ხარისხიანად შესრულებას. სწორედ ამიტომაა, რომ ამ კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გეგმას ვერ ასრულებენ, ხოლო სოფელ აიაზის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც მის მეზობლად მდებარეობს, შარშან შრომადღეზე გეგმით გათვალისწინებულზე სამჯერ მეტი მარცვლეულის მოსავალი განაწილდა.

წალკის მხარე სულხად იბრძვის მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად. 1.400 ჰექტარის ნაცვლად საანეკლოდ მხოლოდ 100 ჰექტარი აქვს მოხნული.

წალის მხარის კოლექტივს გეგმით უნდა დაეთესა 200 ჰექტარი ხორბლეული, მაგრამ სათესი მანქანა არა აქვს. ასევე არა აქვს მხარის სათიბი მანქანა, გეგმით კი უნდა გათიბოს 800 ჰექტარამდე ყანა. მხარეში აქლათი სახარატო დაზგაც. ამის გამო ტრაქტორების ნაწილებზე ადგილზე ვერ აკეთებენ და სხვაგან უხდებათ მათი შეკეთება. ამას წინათ პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორის ერთერთი ნაწილი გუფუნჯა, მაგრამ სახარატო დაზგის უქონლობის გამო ადგილზე მისი შეკეთება ვერ მოხერხდა. ტრაქტორი 4 დღე-ღამეს გაცდა.

ყველაფერი ეს გაგრეხას ახდენს საოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულებაზე. სწორედ ამის შედეგია ის, რომ რაიონში ჯერ კიდევ დაუთესლია 1.000 ჰექტარამდე გაზაფხულის ხორბალი. შეუსრულებელია პრაქტიკულ თესვისა და საგაზაფხულო ხნების გეგმები.

საქართველოს კ. პ. (ბ) წალკის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ენერგიული ზომები უნდა მიიღონ იმ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შ. ჰოჯუა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

მომხმარებლის პრეტენზია

ვიტრინაში ფეხსაცმელი ლამაზი ჩანდა. შევედი, გადავიხადე ფასი და ფეხსაცმელი ბავშვს მივუტანე. ვფიქრობდი 2-3 თვეს მაინც გაძლებდა, მაგრამ... მეორე დღეს ბავშვმა მიჩვენა მთლიანად დარღვეული, ჩასაცმელად უვარგისი ახლად ნაყიდი ფეხსაცმელი.

დავბრუნდი მაღაზიაში. რაკი დარწმუნდნენ, რომ ასეთი ცუდი ხარისხის ფეხსაცმლის გაყიდვა საბჭოთა ვაჭრობას მუშაკებს არ შეეფერებოდათ, მყისვე გამომიცვალეს. ვიფიქრე — ეს მეორე წყვილი მაინც ივარგებდა, მაგრამ კვლავ შევცდი. რამდენიმე დღეში ისევე დაემართა ფეხსაცმელს. უხარისხო ფეხსაცმელს „სარეწკომბინატის“ მარკა ადგა. კომბინატის მიერ ცუდი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების შედეგად მე უკვე დავკარგე 292 მანეთი.

მომხმარებელთა ინტერესი მოითხოვს, რომ სავაჭრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა მეტი სიფხიზლე და დაკვირვება გამოიჩინონ მაღაზიაში გამოსატანად საქონლის მიღებისას, უხარისხო პროდუქციის გამოშვებით კი პასუხი უნდა ვიგებინოთ არსებული კანონის მიხედვით.

დ. აბუაშვილი

მილიციის უფროსი ლეიტენანტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებელნი სასჯილად უნდა დასჯილნენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1949 წლის 10 მაისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია გორის რაიონიდან. კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ სოფელ არბოს კოლმეურნეობა „სინათლის“ თავმჯდომარე დავით ლომოური და სხვები ანაგავებენ საკოლმეურნეო ქონებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომი გვატყობინებს, რომ „კომუნისტში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია გაწინილა რაიკომის ბიუროს. წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

რაიკომის ბიუროს დადგენილებით რჩეული იქნა სოფელ არბოს კოლმეურნეობა „სინათლის“ წევრთა საერთო კრების გამგეობის თავჯდომარე დავით ლომოური საკოლმეურნეო ქონების მითვისებისა და განაკვეთებისათვის მოხსნას სამუშაოდან.

კოლმეურნეობის საწყობის გამგე ვლ. გვარამაძე მოლარედ ყოფნის დროს საკოლმეურნეო თანხების უკანონოდ გაცემისათვის რაიკომის ბიუროს მოხსნა თანამდებობიდან.

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებელთა საქმე დაბრალებული პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა გორის რაიონის პროკურატურას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-9 ყრილობის საბოლოო სხდომა

პრაღა, 29 მაისი. (საგანგებო). დღეს მუშაობა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობამ. ყრილობამ სრული ერთხმობით და დარჩმულების გითარებაში ჩაიარა.

მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ გააკეთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა შვეპრმოვამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებანი და კომუნისტური პარტიის განვითარება მოითხოვენ პარტიის წესდებაში ცვლილებათა შეტანას. პარტიის წესდების ცვლილებანი ხელს შეუწყობენ პარტიის შემდგომ განმტკიცებას, პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას.

კამათის დამთავრების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 დელეგატმა, კლემენტ გოტვალდმა გააკეთადა, რომ ვინაიდან ყველა დელეგატმა თავის გამოსვლაში მოიწონა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა და პარტიის „ცენტრალური ხაზი, რაც დასახულია უახლოესი პერიოდისათვის, იგი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს.

შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ახალი წესდება.

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობამ მოიწონა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა პარტიის მე-8 და მე-9 ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში. ყრილობამ დაადგინა მიღებულ იქნას გოტვალდის მოხსენება, აგრეთვე სლანსკის, ზაპოტოცკის, შიროკის, კოვეცკისა და შეერმოვის მოხსენებანი სახელმძღვანელო მითითებად კომუნისტური პარტიის შემდგომ პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

ყრილობამ დიდი ერთსულოვნებით ირჩია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 97 წევრი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულნი არიან: კლემენტ გოტვალდი, რუდოლფ სლანსკი, ზაპოტოცკი, შიროკი, კოვეცკი, ნეედლი, ერთენკი კრეხის თავმჯდომარე ირონი, ნოსკი, კლემენტისი. გენერალი სვობოდა და სხვა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. ერთხმად არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის 32 კანდიდატი და სარევიზიო კომისიის 15 წევრის შემადგენლობით.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავჯდომარედ ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია კლემენტ გოტვალდი. დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ კლემენტ გოტვალდს.

ყრილობამ ერთხმად არჩია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიუმის წევრებად: კლემენტ გოტვალდი, რუდოლფ სლანსკი, ზაპოტოცკი, შიროკი, კოვეცკი, ნეედლი, ერთენკი კრეხის თავმჯდომარე ირონი, ნოსკი, კლემენტისი. გენერალი სვობოდა და სხვა გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. ერთხმად არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნატის წევრებად: კლემენტ გოტვალდი, რუდოლფ სლანსკი, ზაპოტოცკი, შიროკი, კოვეცკისა და შეერმოვის მოხსენებანი მთელი პარტიული ორგანიზაციის მიერ მხურვალედ მიღებულ იქნა.

ყრილობის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მისალმება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე

გერმანიის ერთიანობის პრობლემების განხილვა

პარიზი, 28 მაისი. (საკუთარი კორ.). დღეგანმავლობაში სხდომის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე სხდომის თავმჯდომარე ბევინმა დასავლეთის სამი სახელმწიფოს საზეიმო შეიტანა წინადადება დღის წესრიგში პირველი პუნქტის გამო „გერმანიის ერთიანობის პრობლემები ეკონომიური პრინციპების, პოლიტიკური პრინციპებისა და სამოკავშირეო კონტროლის ჩათვლით“.

ამ პროექტს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს რომ უდგენდა, ბევინმა თქვა: „ჩვენ ვგრძნობთ, რომ თუ დავემყარეთ იმას, რასაც ბონი ეშინისკი გვთავაზობს, ჩვენ ვიტყვით მთელ მსოფლიოს, რომ გერმანიის პრობლემების ყველა კიდევ განვიხილეთ იმავე საფუძველზე, როგორზედაც განვიხილეთ დები პოტსდამში“. ეს განცხადება გაისმა ორშაბათს იმის აღიარება, რომ სამი სახელმწიფოს პროექტი არ ეთანხმება გერმანიის საკითხის გადაწყვეტის იმ საფუძვლებს, რომლებზე მიეღებული იყო პოტსდამში.

ბევინი შეეცადა გაემართლებინა უარი—მიეღოთ საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც იმ საფუძვლებს შეესაბამებიან, და განაცხადა, რომ პოტსდამის შეთანხმების გერმანიაში „ეფექტიცია მოხდა“. გადაცრით შეეხო რა იმ ღონისძიებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანიის დასავლეთ ზონებში განახორციელეს, ბევინმა განაცხადა:

„ყველასათვის ცნობილია, რომ ამჟამად დასავლეთ სახელმწიფოები მიეღნენ გარკვეულ სტადიამდე, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს მიდგომაზე საკითხის ღიეგანღილი გადაწყვეტისადმი“.

ბევინი შეეცადა ტრიზონიაში დასავლეთ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ზომები წარმოეჩინა როგორც პროგრესი, და თქვა:

„ოკუპაციის წინასწარი პერიოდი გავიდა, ჩვენ გვქონდეს წინასწარ.

ბევინის მიერ დარეგებული გადაწყვეტილების პროექტი მოითხოვს დამყარდეს „ფედერალური მთავრობა მთელი გერმანიისათვის“. ამასთან პროექტში ნათქვამია, რომ გერმანიის გაერთიანება უნდა განხორციელდეს „ბონის ძირითადი კანონის“ შესაბამისად (საქმე ეხება დასავლეთ გერმანიის სახელმწიფოს ეგრეთ წოდებულ კონსტიტუციას, რომელიც მიღებულ ბონში და რომელიც დაამტკიცეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებმა). პროექტის ავტორები წინადადებას იძლევიან, რომ გერმანიის ფედერალური ორგანოები ხელმძღვანელობდნენ „ბონის ძირითადი კანონით“.

პროექტი ითვალისწინებს „ოთხზრივ საფუძველზე საოკუპაციო სტატუტის“ მთელ გერმანიაზე გავრცელებას.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავეხსენოთ, რომ ტრიზონიის საოკუპაციო სტატუტი, რომელიც გამნაგტონში შეიმუშავეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა, დასავლეთ გერმანიას გაუჩეკველი ვადით ტოვებს ოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობაში.

პრეზიდენტი გათვალისწინებულია ოთხწლიანი სამხედრო კონტროლის დებულების ძირფესვიანი რევიზია. მასში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს კონტროლი უნდა განახორციელოს „შესაღლესმა კომისიამ“, რომელსაც, როგორც წესი, თავისი გადაწყვეტილებანი უნდა მიიღოს ხმის უმრავლესობით, გარდა გამონაკლისებისა, რაც უნდა განისაზღვროს ურთიერთ შეთანხმებით. ამრიგად, დასავლეთ სახელმწიფოების წარმომადგენლებს წინასწარ სურთ უზრუნველყონ ისეთი ორგანოს შექმნა, რომელშიც ისინი, ექნებათ რა უზრუნველყოფილი ხმის უმრავლესობა, შეძლებენ ნაკეთობები ისე გადაწყვეტონ, როგორც მათ სურთ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი თავდაპირველებს რეპარაციების შესახებ ათი სახელმწიფოს ალიტს შეთანხმების რეეხებას. მასში ნათქვამია: „მოთხოვნილ არ იქნება არავითარი ნარეპარაციო მიერიგებით ძიძილების პროდუქციიდან ან არსებული მარაგის ხარჯზე“.

ბევინმა საბრიო ზაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი წინადადებანი „შეთანხმებულია დასავლეთის სამ სახელმწიფოს შორის“.

შემდეგ აჩეკოსმა განაცხადა, იმ ფაქტს, რომ ეს წინადადებანი გაკეთებულია ერთობაში შეთანხმებული სამი სახელმწიფოს სახელით, დიდი მნიშვნელობა აქვს. მან თქვა, რომ ამან თითქოს უნდა გააადვილოს ოთხ სახელმწიფოს შეთანხმების მიღწევა.

დასასრულ აჩეკოსმა თქვა, საჭიროდ მიმაჩნია, რომ გერმანელებს შესაძლებლობა მიეცეთ „თვითონ წართონ თავიანთი თავი“.

შემდგომი განაცხადი:

„მე საკმაოდ ვეთანხმები და „ეფერთდები იმას, რაც ჩემმა კოლეგებმა თქვეს“.

მან აღნიშნა, რომ დასავლეთი სახელმწიფოები „რეალისტურად“ უდგებიან საქმეს, რამდენადაც მათი პროექტი ემყარება იმას, „რაც არსებობს, 18 თვის მანძილზე გაეკეთებულის ჩათვლით“. აჩესონის შემდეგ შემოსძახა თქვა, რომ დასავლეთი სახელმწიფოები ცდილობენ „მიანიჭონ გერმანელ ხალხს უბრალოდ რული ინიციატივის და პასუხისმგებლობის დაკვეთი“.

შემდეგ სიტყვა ალეო ა. ე. ვიშინსკიმ.

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ვიშინსკიმ განაცხადა, რომ ბევინი, აჩესონი და შუმანი ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმას, რომ საჭიროა გერმანელ ხალხს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმეები და არ იყოს უცხო სახელმწიფოთა მეურვეობის ქვეშ, და თქვა:

— ბატონები კითხავ, რატომ სწორედ ახლა ვიხსენიებ სამ დელეგაციას საბჭოთა და დროულად, რომ შესაძლებლობა მიეცეს გერმანელებს თვითონ მონაწილეობა თავიანთი საქმეების გადაწყვეტაში და რატომ არ თვლიდნენ ეს დელეგაციები ასეთ ამოცანას აქტიურად და დროულად, ვთქვათ, წელიწადნახევრის წინათ?

ვიშინსკიმ სხდომას მოაგონა, რომ ჯერ კიდევ 1947 წლის დეკემბერში ლონდონში, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში, სსრ კავშირის დელეგაციამ ემყარებოდა სწორედ იმ პოზიციას და ცდილობდა თავის მხარეზე გადაეყვანა ბ-ნი ბარნსი, ბ-ნი ბევინი და ბ-ნი ბიდო. მაგალითად, 1947 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, ეხებოდა რა გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიის აღდგენის საკითხებს, აშკარად:

„საჭიროა, რომ გერმანელმა ხალხმა მიიღოს შესაძლებლობა ხელი მოკიდოს თავისი მშვიდობიანი ეკონომიის აღდგენას. ჩვენ არა თუ ხელი არ უნდა შევუშალოთ ამას, არამედ გავლებული გვაქვს ხელი შევუწყოთ გერმანიის ეკონომიურ აღდგენას და გერმანელი ხალხის მატერიალური უფლებების გათვალისწინებას“... და შემდეგ: „უნდა ვაღიარო, რომ არ შეიძლება გერმანიის ეკონომიური ურთიერთობის უზრუნველყოფა, თუ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო თვით გერმანელმა ხალხმა“. ამავე სხდომაზე, შეეხო რა გერმანიის ცენტრალური ადმინისტრაციული დეპარტამენტების შექმნის საკითხს, მოლოტოვმა თქვა: „არ შეიძლება გერმანიის იმ დეპარტამენტების შექმნის გადადება, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ გერმანელებს აქტიურად ჩაებან გერმანიის ყველა ზონის ეკონომიური აღდგენის საქმეებში“.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციებმა მაშინ შესაძლებლად ვერ მიიჩნიეს მხარი დაეჭირათ სსრ კავშირის დელეგაციის პოზიციისათვის. ახლა იმას, რასაც საბჭოთა დელეგაცია წელიწადნახევრის წინათ მოითხოვდა, ამ ცდილობენ გაასაღონ როგორც თავიანთი საკუთარი პოლიტიკის ყველაზე უკანასკნელი სიტყვა.

— ამრიგად, — დასკვნა ვიშინსკიმ, — საუკეთესო ცხადი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ წელიწადნახევრით დაგვიანება.

მაშასადამე, განცხადებანი, რომელიც დღეს ჩვენ აქ მოვისმინეთ, რაიმე სიახლე ან აღმოჩენა ან არის, არამედ დაშვებული შეცდომის დაგვიანებული აღიარებაა. რა გუყოთ, როგორც ბატონები, სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს. მაგრამ ცუდია სხვა რამ. ცუდია ის, რომ ამ პრინციპს ახლა მოსაყვე მთელი რიგი ისეთი პირობების, რომ სიტყვით აღიარებული სინამდვილეში მნიშვნელოვნად გაუფასურებულია.

შემდეგ ვიშინსკი შეეხო აჩესონის განცხადებას, რომ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია სამ სახელმწიფოს შორის და რომ ეს „უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია“.

— ამ ბ-ნმა აჩესონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს „უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია“,—თქვა ვიშინსკიმ, — როგორც ჩანს, ამ გარემოებას, რომ სამი სახელმწიფო უცდა შეთანხმდა ერთმანეთში, განსახილველ როგორც საქმის ძლიერ მხარეს. ამაზე დროს მე მგონია ეს არც თუ ისეთი ძლიერი მხარეა, არამედ, პირიქით, სუსტი მხარეა, რამდენადაც სამი დელეგაციის შეთანხმება მეოთხე დელეგაციის ზურგს უკან, მაშინ როცა ეს საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ ოთხმხრივ სიფუძველზე.

შეიძლება ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნას, რომ სამი ერთმანეთ შორის შეთანხმებული წინადადებას აძლევს მეოთხეს ანგარიშში გაუწიოს მათ წინადადებას, როგორც უკვე მომხდარ ფაქტს.

ვიშინსკი შეეხო ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის წინადადებათა არსს და თქვა, რომ ისინი, რასაკვირველია, შესწორებას მოითხოვენ. მაგრამ, — შენიშნა მან, — ამ დოკუმენტის წინასწარი ზერელე გაცნობაც კი გვიჩვენებს, რომ იგი შედგენილია მეტად ცალმხრივად. ეს გარემოება მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნის იმ დოკუმენტის განხილებისას, რომელიც უნდა იყოს ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველი.

ვფიქრობ, ის ნაკლოვანებანი, რომლებიც არის ამ დოკუმენტში და რომელთა შესახებ უფრო ვრცლად მინდა ვილაპარაკო შემდეგ, როცა დაწერილებით იქნება შესწავლილი ეს დოკუმენტი, წარმოდგენილ პროექტს ხდიან ნაკლებ მისაღებს, ან სრულიად მიუღებელს ინსპირაციას, რომ შეიძლებოდეს მის საფუძველზე მივაღწიოთ საერთო თანხმობას“.

* * *

სხდომისათვის დადგენილი დროს გასვლის გამო სხდომა ვიშინსკის სიტყვის შემდეგ დაიხურა.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემდეგი სხდომა შედგება ორშაბათს 30 მაისს.

გაიხსნა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესი

ბერლინი, 29 მაისი. (საკუთარი). დღეს ბერლინში მუშაობა დაიწყო გერმანიის მესამე სახალხო კონგრესმა. დღეის 10 საათისათვის სხდომათა ოპერის დარბაზში შეკრიბნენ გერმანიის სახალხო კონგრესის 1.525 დელეგატი, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული არიან საბჭოთა ზონაში და ბერლინის საქმითა სექტორში, 500-მდე დელეგატი, რომლებიც დემოკრატიული ორგანიზაციებისა და საწარმოების კრებებზე არჩეული არიან გერმანიის დასავლეთ ზონებსა და დასავლეთ ბერლინში, მრავალი სტუმარი, გერმანიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

კონგრესი გახსნა გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ეიზლერმა პაკმა. ეიზლერმა პაკმა სიტყვაში — „სახალხო კონგრესი უფლებამოსილია ალაპარაკოს გერმანელი ხალხის სახელით“, დელეგატები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სახალხო კონგრესის პრეზიდიუმში ერთსულოვნად არჩეულ იქნენ გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, დემოკრატიული ორგანიზაციების, მასების საწარმოების წარმომადგენლები და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები გერმანიის ყველა ზონიდან. სამხედრო, სარედაქციო და საარჩევნო კომისიების არჩევის შემდეგ კონგრესმა მოისმინა დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრის ფრიდრიხ ებერტის, ბერლინისა და საბჭოთა ზონის უფლებათა საწარმოების მუშათა დელეგაციების მისალმებანი.

შემდეგ გერმანიის მესამე სახალხო კონგრესი გადავიდა პირველი პუნქტის განხილვაზე: „გერმანია და პარიზის კონფერენცია“. ამ საკითხის შესახებ 29 მაისის დილის სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ოტო ნუშკე (კრისტიან დემოკრატთა კავშირი), პროფესორი გერჰარდ კასტნერი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) და გინცენც მიულერი (ნაციონალ-დემოკრატიული პარტია); მეოთხე მოხსენებელი ამ საკითხზე დასავლეთ გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაქს რაიმანი დღეს დაანაკიმრეს ისჯლისელ ხელისუფალთა ბრძანებით. გერმანიის სახალხო კონგრესის დელეგატებმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კატეგორიული პროტესტი განაცხადეს ამის წინააღმდეგ, რომ მაქს რაიმანს სიკვდილამდე გერმანიის ერთიანობის და მშვიდობის შენარჩუნებისათვის მისი ბრძოლის გამო. მაქს რაიმანის დოსუნება კონგრესზე წაიკითხა დასავლეთ გერმანიის სხვა დელეგატმა.

ვილჰელმ პიკის სიტყვა

ბერლინი, 29 მაისი. (საკუთარი). გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის გახსნისას გერმანიის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ეიზლერ პიკი მხურვალედ ესესალმა სხდომის მყოფ გერმანიის დასავლეთი ზონების 500 დელეგატს. კონგრესის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ პიკის განცხადებას, რომ სამყაროში გერმანიის კიდევ 100-მდე დელეგატი გზშია და ბერლინს მოდის.

მაგრამ დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა კრებებზე არჩეულმა ბევრმა დელეგატმა ვერ შეძლო კონგრესზე ჩამოსულიყო, რადგან დასავლეთი ზონების სამხედრო ხელისუფლებამ უარი უთხრეს მათ სახოსიათმორისო სამეგზაუროდ მიცემაზე. კერძოდ, კონგრესის სახელზე მიღებული დეპეშა, რომ ქალაქ მიტწიენის 21 დელეგატს ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციამ უარი უთხრა ბერლინს გაგზავნების ნებართვაზე. „ჩვენ, — თქვა პიკმა, და მისი სიტყვები ყველა დამსწრემ მოიწონა, — კატეგორიულად პროტესტს გაცხადებთ ძირითად დემოკრატიულ უფლებათა ასეთი დარღვევის წინააღმდეგ“.

„მას შემდეგ, რაც 15 და 16 მაისს გერმანელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ პარიზის და ფარული არჩევნების გზით აირჩია თავის დელეგატები გერმანიის სახალხო კონგრესი, განაცხადა პიკმა, გერმანიის სახალხო კონგრესი, როგორც ეროვნული წარმომადგენლობა, ისპობა მისი ეროვნული დამოუკიდებლობა, გერმანელი ხალხი განწირულია სრული უძლურებისათვის.

პიკმა დაჭმა დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის ის გერმანელი პოლიტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ ანგლის-ამერიკის ხელისუფალთა ღონისძიებებს. ეს გონებაშეზღუდული პოლიტიკოსები, თქვა მან, საბოლოს უცხადებენ სრულიად გერმანიის თითხრის მოქმედებას, რადგან არ სურთ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის შორის ურთიერთობაგება, არ სურთ მოუკუპრებელ სახელმწიფოთა შეთანხმება.

„ჩვენ უფრო სასიხარულოა ჩვენთვის, — განაგრძო პიკმა, — რომ, დასავლეთის პოლიტიკოსების ანტიხალხური პოზიციის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში ბევრი პარტიისა და ორგანიზაციის რიგებში პარტიისა და ორგანიზაციის ძლიერი ოპოზიცია, რაც უკვე ამით გამოიხატა, რომ ამ ოქტომბრიდან ჩვენს კონგრესზე გამგზავნილი არიან გერმანელი ხალხის წარმომადგენლები. გერმანიის დასავლეთიდან და ამომავლეთიდან ერთობლივი მოლაპარაკება, რაც მოხდა ჰანოვერში, ბრაუნშვეიგში, ჰამბურგსა და ბერლინში საფუძველს იძლევა დავრწმუნდეთ, რომ მოისპობა დასავლეთ გერმანიის პოლიტიკოსების მიერ შექმნილი ყველა ბარიერი, რომლებიც შექმნილია დასავლეთ სახელმწიფოთა მხარდაჭერით. მოვუწოდებთ დასავლეთ გერმანიაში მყოფ ყველა ქეშმარიტ გერმანელს გააძლიერონ პრძოლა ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის. (ტაში).

გერმანელი ხალხისათვის უდიდესი ბედნიერებაა, თქვა პიკმა, ის ფაქტი, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის არის სახელოვანი ჯარი. სოციალისტური სახელმწიფო ეწინააღმდეგება იმპერიალისტურ გეგმებს და დაბრძანებას უწევს გერმანელ ხალხს, რომელიც მოთმხოეს მშვიდობას, ერთიანობას და ეკონომიურ აღდგენას“. (ტაში).

„ჩვენ, განაგრძო პიკმა, გაჩერებას არ შეგვიძლია, და არც გავჩერდებით, რადგან სამყ ეხება გერმანელი ხალხის ინტერესებს, მის მომავალს. (ტაში). ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ გერმანიის ერთიანობაზე, რადგან ამაზე დამოკიდებულია ჩვენ ხალხის ეროვნული არსებობა და ეროვნული მშვიდობის შენარჩუნება.

გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის ამოცანა გამონაზომის ახალი გზები და საშუალებანი იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც გერმანელ ხალხს ემუქრება. სახალხო კონგრესის მოთაობამ წელიწადნახევრის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. მაგრამ ეს ახლა აღარ კმარა.

ჩვენ ბრძოლის კიდევ უფრო ფართო ფრონტი უნდა შევქმნათ არა მარტო აღმოსავლეთ ზონაში, არამედ დასავლეთ საოკუპაციო ზონებშიც. დასავლეთ გერმანიაში ინგლის-ამერიკის პოლიტიკის დამოუკიდებელი შედეგები უფრო და უფრო აშკარა გახდება და მოსახლეობის უფრო და უფრო ფართო ფენები ეწევიან ბრძოლაში შეშფოთების ადეკვნებენ თვალუწრის მაოს განვითარებას. მოსახლეობის ამ ფართო ფრენებს სერთ ურთიერთობაგება მოახდეს ამომავლეთსა და დასავლეთ შორის და არ სურთ ომი, მათ სურთ შენარჩუნებულ იქნას გერმანიის ერთიანობა და ისე შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ჩავაბით ეს ფრენები სახალხო კონგრესის ჩვენს მოძრაობაში, მაგრამ ერთი ნაწილი უარყოფითად ეკიდება ამ მოძრაობას მისი ახლანდელი ფორმებით გამო. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ბევრი ადეკვნის ამ წრეებთან თანამშრომლობაზე. ასე წარმოიშვა ერთიანობისა და სამართლიანი ზავისათვის ნაციონალური ფრონტის შექმნის იდეა, რის შესახებაც ამ კონგრესმა სათანადო გადაწყვეტილებანი უნდა მიიღოს.

დასასრულ პიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაციონალური ფრონტის შექმნა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის ძირითადი ამოცანაა.

გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის სხდომაზე გამოსვლის დროს ვილჰელმ პიკის ხელის მოსაწერად ბლოკნოტი გაუწოდა ბერლინის ერთ-ერთ მუშათა თეატრში (1894-1898 წწ.), შემდეგ კი მოსკოვში პრესის მუშაობა კლუბის მთავარ დასში (1899-1901 წწ.), სამშობლოში დაბრუნებისას (1902 წელს) მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად თბილისში და შემდეგ ბაქოს ქართულ თეატრში. 1910-1913 წწ. ბაქოში მ. ქორელი ხელმძღვანელობდა ქუთაისის თეატრს, ხოლო შემდეგ თბილისის ქართულ თეატრს. სხვადასხვა დროს მ. ქორელი მუშაობდა ბაქოს, ქუთაისის, თბილისის, ბათუმის, ფოთის, ახალციხის, ბორჯომის, ახალქალაქის, ქუთა